


Culture & Creativity

EU-Eastern Partnership Programme



კულტურის გავლენა რეგიონულ განვითარებასა და ურბანულ განვითარებაზე

ინფრასტრუქტურის განვითარებაში
შეტანილი წვლილი



პროგრამა ფინანსდება
ევროკავშირის მიერ

შესავალი

დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქების უმრავლესობა, რომლებიც თითქმის მთელი მე-20 საუკუნე ინდუსტრიული და კულტურული ცხოვრების ცენტრები იყვნენ, მკვეთრი დაკნინების მსხვერპლი გახდა, როდესაც ინდუსტრიულმა ეკონომიკამ გვიან 1970-იანებში ჩამოშლა დაიწყო. სამუშაო ადგილები მცირდებოდა, ქალაქის ცენტრები ცარიელდებოდა და მცხოვრებლები გარეუბნებში გადადიოდნენ. ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლამ, რომელიც შემოქმედებითობაზე, ცოდნასა და ინოვაციაზეა აღმოსცენებული, კვლავ ყურადღების ფოკუსში მოაქცია ქალაქები. ეს ეკონომიკა დაეყრდნო ქალაქების სასწავლო რესურსებს, მის უნარს, იოლი გახადოს მიმოცვლა და ტრანსაქციები, მის კულტურულ ინსტიტუციებს და უფრო მდიდარ არტისტულ ცხოვრებასა და შეგრძნებას, შენობების სიმრავლეს, ინფრასტრუქტურასა და სატრანსპორტო კვანძებს. ქალაქი აღქმული იქნა, როგორც შესაძლებლობების აქსელერატორი.

მთელ რიგ ძველ, მიტოვებულ ინდუსტრიულ ინფრასტრუქტურებისა და მათთან დაკავშირებულ საცხოვრებელ კვარტლებს ახალი სიცოცხლის ჩაბერვა სჭირდებოდათ. ადამიანებს და შენობებს სჭირდებოდათ ახალი აზრის შექმნა, ახალი შესაძლებლობები. შემოქმედებითი ეკონომიკამ და კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების (CCI) აღმავლობამ ქალაქებს ზოგ ამ კითხვაზე პასუხი შესთავაზა.

„მთელ მსოფლიოში რამდენიმე ასეული ძველი საწყობი, ლუდსახარში; მატარებლის, ავტობუსის თუ სახანძრო სადგური; ცემენტის, ნახშირის, ქსოვილების, თამბაქოსა და ფოლადის ფაბრიკები; ძველი ბაზრები, სამხედრო ყაზარმები თუ ძველი მუშათა კლასის უბნები გადაიქცა კულტურულ თუ საჩვენებელ ცენტრებად, ინკუბატორებად და კომპანიების საქმიანობის კერებად, ასევე – ჰაბებად უფრო ფართო ურბანული აღორძინებისთვის. შემოქმედებითი სფეროს პროფესიონალები, როგორც არიან მუსიკოსები, გრაფიკული დიზაინერები, ხელოვანები ან მსახიობები, განსაკუთრებით მიიზიდა ამ ადგილებმა. მათმა უბრალო იქ ყოფნამაც კი ეს ადგილები აღდგენის ავანგარდში ჩააყენა“ – მოგვითხრობს ჩარლს ლანდრი თავის კვლევაში „შემოქმედებითობა, კულტურა და ქალაქი: ურთიერთკავშირის საკითხი“ (Charles Landry. Creativity, Culture & the City: A question of interconnection).


კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება ხშირად მჭიდროდ უკავშირდება კლასტერების ჩამოყალიბებას – ეს შეხედულება ჰარვარდის ბიზნესსკოლის ეკონომისტის მაიკლ პორტერის (Michael Porter) სახელთან ასოცირდება. კლასტერები აძლიერებს ცოდნისა და გამოცდილების გაცვლას შემოქმედებით მენარმეებს შორის. ისინი აგრეთვე აჩენენ მეტ სტიმულს, ინფრასტრუქტურის აღდგენასა და ხელახლა განვითარებაში ჩაიღოს ინვესტიცია. ევროპული კლასტერების ობსერვატორიის (European Cluster Observatory) ანგარიშში შემოქმედებითი ინდუსტრიების შესახებ (2013) აღნიშნულია, რომ კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიები ყოველთვის ადგილობრივ შემოქმედებით რესურსებსა და ტრადიციებზე არის აღმოსცენებული. ის კულტურულ მემკვიდრეობას, მათ შორის ინდუსტრიული სახისასაც, შემოქმედებითი ეკონომიკისა და კლასტერების განვითარების აუცილებელ ელემენტად ასახელებს.

ევროკომისიის პროგრამამ „ევროპის კულტურის დედაქალაქები“ (ECoC) ამ ქალაქების ინფრასტრუქტურებში დიდი ინვესტიციების ჩადების სხვადასხვა წყაროები გამოაჩინა. ძირითადი ხარჯები მოხმარდა უშუალოდ კულტურულ ინფრასტრუქტურას (მუზეუმები, თეატრები, არტცენტრები, სხვა), მაგრამ აგრეთვე – ურბანულ განახლებას (პარკები, სკვერები, განათება, საჯარო სივრცეების განვითარება) და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურას (აეროპორტები, რკინიგზა, გზები, ა.შ.).

დღესდღეობით ევროპული აღმოსავლეთის პარტნიორობის რეგიონის ბევრი ქალაქი აღმოჩნდა ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ მდგომარეობაში. საბჭოთა კავშირის ძლიერ ინდუსტრიული ეკონომიკისგან დარჩენილი ვრცელი ინდუსტრიული ინფრასტრუქტურა მიტოვებული დგას და აღიქმება არა სიმდიდრედ, არამედ – ტვირთად. კულტურულ მემკვიდრეობას, თუმცა კი აღიარებულსა და დაფასებულს, ხშირად ნგრევის და გაპარტახების ნიშნები ეტყობა. საშიროა თვალთახედვის და სტრატეგიის შეცვლა, შემობრუნება ქალაქების გაცოცხლებისა და ინფრასტრუქტურის ხელახლა განვითარებისკენ.

ციფრები და ფაქტები

- იუნესკოს შემოქმედებითი ეკონომიკის ანგარიშის (2013) მიხედვით, დღესდღეობით მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს და მთელი ეკონომიკური საქმიანობის თითქმის სამი მეოთხედი წილი მათში მიმდინარეობს.
- შემოქმედე-ბი-თი ეკონომიკა ეფუძნება ადგილობრივ ტრადიციებს, ცოდნას, უნარებს და სპეციფიკურ ნოუ-ჰაუსს. მას ძირითადად ქალაქებსა და რეგიონებში აქვს ფეხი მოკიდებული და აჩვენებს მათ, როგორ შეიძლება, ახალი ადგილი დაიკავონ და ხელახლა გაიყიდონ მსოფლიო ბაზარზე.
- დღეს, როცა ტურიზმის ინდუსტრია მთელ მსოფლიოში იზრდება, ევროპა კულტურული ტურიზმის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, უამრავი მსხვილი კულტურული ღირსშესანიშნაობითა და კულტურულად მოტივირებული საერთაშორისო თუ ადგილობრივი ვიზიტორების ძლიერი ნაკადით. შეფასებულია, რომ კულტურულ ტურიზმზე საერთო ევროპული ტურიზმის დაახლოებით 40% მოდის (როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული ღირსშესანიშნაობისთვის ჩამოსული კულტურული ტურისტების ჩათვლით).
- ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტირებას მყისიერი ეფექტი აქვს ადგილობრივი და რეგიონული სამოქალაქო მშენებლობის, აგრეთვე მისი დამხმარე სექტორების, განვითარებაზე. „ევროპის კულტურის დედაქალაქებში“ კაპიტალის ინვესტირების მონაცემებში 2011 წლამდე პერიოდში შემდეგ ციფრებს ვხვდებით (ევროებში): კოპენჰაგენი, 1996 წელი (219 მლნ), ბრიუსელი, 2000წ (82 მლნ), პორტო, 2001წ (168.5 მლნ), უენევა, 2004წ (200 მლნ), პატრასი, 2006წ (100 მლნ), ლივერპული, 2008წ (984 მლნ), ლინცი, 2009წ (300 მლნ), ვილნიუსი, 2009წ (442 მლნ), პეკსი, 2010წ (141 მლნ) და ტურკუ 2011წ (145 მლნ).
- კულტურა ზოგადად და კულტურული და შემოქმედე-ბი-თი ინდუსტრიები კონკრეტულად პირდაპირ გავლენას ახდენს ურბანული უძრავი ქონების ღირებულებაზე და კულტურის მიერ წარმართული ურბანული განახლების სტრატეგიების ძირითად ელემენტად იქცევა. ეს გავლენა შეიძლება იყოს შედეგი როგორც მსხვილი და ფლაგმანი პროექტებისა, როგორცაა მემკვიდრეობის აღდგენის პროექტი ან შემოქმედე-ბი-თი კლასტერი, ასევე მომცრო შემოქმედე-ბი-თი მიკრობიზნესების ან მცირემაშტაბიანი კულტურული აქტივისტების საქმიანობისა.



გადაწყვეტები

შემთხვევა 1

სოფრონი ავსტრიის საზღვართან მდებარე პატარა უნგრული ქალაქია. 1676 წელს დიდმა ხანძარმა გააპარტახა ქალაქი და მომდევნო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ის ხელახლა დაიბადა, ოღონდ ადრინდელი შუასაუკუნეთა სტილი ამჯერად ბაროკოს არქიტექტურამ ჩაანაცვლა. სოფრონის ციხესიმაგრის რაიონი მთელი მომდევნო წლები შთამბეჭდავი არქიტექტურული სტილებით იწონებდა თავს: რომაული იმპერიისდროინდელი კედლები და საძირკველი შუა საუკუნეების, რენესანსისა და ბაროკოს შენობებთან ერთად რაიონის კეთილდღეობის, სტაბილურობისა და ისტორიის მაჩვენებელია.

თუმცა რეგიონისთვის დიდი პრობლემა იყო გადატვირთული მოძრაობა, ქუჩების ლანდშაფტის უწყვეტობის რღვევა, პარკინგის გამო სამანქანო მოძრაობის შეფერხება და არასაკმარისი განათება, რაც ხალხს შებინდების მერე გამოსვლის სურვილს უქრობდა. ეს ისტორიულ ცენტრს ნაკლებად მიმზიდველსა და ნაკლებად უხიფათოს ხდიდა ადგილობრივი მცხოვრებლებისთვისა თუ ტურისტებისთვის.

პრობლემის გადასაჭრელად ქალაქის საბჭომ გამოაცხადა კონკურსი – „სოფრონი – ციხესიმაგრის რაიონის განახლება“. კონკურსის მიზანი იყო, ისტორიული ქალაქის გარშემო არსებული არეალისთვის ახლებური ხედვა შეეძინა და გაეუმჯობესებინა მისი ფუნქციონირება.



15000 კვ. მეტრი საჯარო სივრცის შექმნის პირველი ეტაპი 2015წ დასრულდა. ციხესიმაგრის რაიონის შუა ნაწილი ველოსიპედით და ფეხით მოსიარულეებს დაეთმო. განახლების გეგმა სამ ძირითად პრობლემაზე იყო ფოკუსირებული:

1. ფეხით მოსიარულეები, როგორც პრიორიტეტი. მიზანი გახლდათ, ქალაქი მოსახერხებელი ადგილი გამხდარიყო სტუმრებისთვის, რომლებიც მეტწილად ფეხით მოსიარულეები იქნებოდნენ. ამ მიზნით მთავარი საავტომობილო ნაკადი ისტორიული ცენტრიდან წრიულ გზაზე გადაიტანეს. დარჩენილი ტრაფიკი უსაფრთხოების გათვალისწინებით გამოჰყვეს ველოსიპედების და ფეხით მოსიარულეთა ბილიკებისგან. ცენტრში განლაგებული პატარა ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, ინფორმაციული დაფებითა და საზოგადოებრივი ტუალეტებით, აშენდა მე-20 საუკუნის დასასრულის აღდგენითი სამუშაოების სტილში. ის მაშინვე თვალში გეცემათ, მაგრამ ამავე დროს არ ჩრდილავს ისტორიულ შენობებს.
2. ისტორიის მოფრთხილება ზონების გამოყოფით. არქიტექტორები იყენებდნენ თანამედროვე მასალას, მაგრამ მას პატარა ქალაქის მასშტაბებსა და ხასიათს უსადაგებდნენ. სხვადასხვა ფუნქციური ზონების გამოსაყოფად განსხვავებული და გამორჩეული მასალები შეირჩა.
3. იდენტობის ჩამოყალიბება. საჯარო სივრცეებისა და დასასვენებელი ზონების შექმნით ეს პროექტი ქალაქის მდიდარ და მრავალფეროვან მემკვიდრეობას უსვამდა ხაზს. შესაძლებელი გახდა იმ ისტორიული შენობების დანახვა და შეგრძნება, რომლებიც ქალაქის გულისგულს წარმოადგენს. მთავარი კონცეპტი იყო: რაიონის ნებისმიერ წერტილში ადამიანს უნდა ჰქონოდა შეგრძნება, რომ იგი ამ სივრცის ნაწილია.



შედეგი:

- რაიონი უფრო უსაფრთხო და საცხოვრებლად გამოსადეგი გახდა, რამაც მის ბინადართა ცხოვრების ხარისხი გააუმჯობესა.
- რაიონმა მიიღო საჯარო სივრცე, სადაც შეიძლება ურთიერთობა, კომუნიკაცია და დასვენება. ქუჩის ავეჯმა, ლამპიონებმა, შადრევნებმა და დროებითმა ფანჩატურებმა არა მხოლოდ გააღამაზა ქალაქი, არამედ ადამიანებს აქვებებს, მოაწყონ ფესტივალები, გამოფენები, კონცერტები და სხვა.
- რაიონმა მოახერხა, გაერთიანებინა ანმყო და წარსული და ქცეულიყო ხიდად ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ მეზობლებს შორის.

შემთხვევა 2

ეინდჰოვენი ჰოლანდიის სიდიდით მეხუთე ქალაქია. ოდესღაც იგი კომპანია ფილიპსის სახლი იყო. 1892 წელს კომპანიის დაარსებიდან ქალაქი განვითარდა ინვესტიციების და სამუშაო ძალების მოზიდვის წყალობით, რამაც ეინდჰოვენი მსხვილ ტექნოლოგიურ და ინდუსტრიულ ჰაბად აქცია. 2000 წელს ფილიპსი დაიხურა და ქალაქს დეპრესიის პერიოდი დაუდგა. რაიონი სტრაიპი (Strijp), სადაც კომპანია იყო განლაგებული და აგრეთვე ცნობილი იყო „აკრძალული ქალაქის“ სახელით (მის გარშემო შემოვლებული ღობეების გამო) 270,000 კვ.მ ფართობის ჩაკეტილ არედ იქცა.

- ქალაქისთვის მთავარი გამოწვევა იყო, ახლებურად წარმოჩენილიყო, როგორც შემოქმედებითობის და ინოვაციის ცენტრი. ეს გულისხმობდა „აკრძალული ქალაქის“ მთელი მიტოვებული სივრცის ხელახლა გადააზრებას და გადაგეგმვას, უკვე არსებული ინფრასტრუქტურის მისადაგებას ან გადაკეთებას ქალაქის საჭიროებების შესაბამისად, აგრეთვე ამ სივრცის მიერთებას ქალაქის უკვე არსებულ სტრუქტურასთან.
- შეიქმნა სამოქმედო გეგმა სტრაიპ-S, იმისათვის, რომ ეს სივრცე ეინდჰოვენის ახალ შემოქმედებით და კულტურულ არედ გადაიქცეს და აღმოჩენილი იქნას მისი ინდუსტრიული მემკვიდრეობა.
- სტრაიპ-S-ი განიხილებოდა, როგორც შემოქმედებითი ადამიანების და ბიზნესის დაკავშირების საშუალება აუდიტორიასთან, რომელიც შეისწავლიდა და გაიგებდა ხელოვნების და ტექნოლოგიის შემოქმედებით და კულტურულ პოტენციალს და სიამოვნებით გაეცნობოდა მას ჰოლანდიის დიზაინის კვირეულზე, ხელოვნებისა და ტექნოლოგიის STRP ფესტივალსა და Glow NXT-ზე (სინათლის ხელოვნება).
- ეინდჰოვენმა შეიტანა განაცხადი თხოვნით, რომ 2018 წელს ის ყოფილიყო ევროპის კულტურის დედაქალაქი. თუმცა ის არ იქნა არჩეული, ქალაქმა განაგრძო თავისი კულტურული ინფრასტრუქტურის გაძლიერება, რათა ხელოვნება და კულტურა დააკავშიროს ტექნოლოგიასა და ინოვაციებთან და უფრო ფართო აუდიტორიას შესთავაზოს იგი.



ინფრასტრუქტურული განვითარება:

სტრაიპ-S-ით ეინდჰოვენმა ინდუსტრიული არე შემოქმედებით და კულტურულ კვარტლად აქცია. ის მრავალი თვალსაზრისით სანიმუშო (ხელახალი) განვითარების სქემაა, სადაც განვითარებული იქნა სტრატეგიული ინფრასტრუქტურა:

- 2008 წელს „სტრაიპ-S-ის კულტურული ფონდი“ (Cultuurfonds Strijp-S) წამოწყებული იქნა, როგორც კერძო/საჯარო ფონდი, კრეატიული ინიციატივების, ღონისძიებებისა და პროგრამების გასაძლიერებლად სტრაიპ-S-ის სივრცეში, რათა დახმარებოდა სტრაიპ-S-ის ეროვნული თუ საერთაშორისო რეპუტაციის გაზრდას. ის ეხმარება კულტურულ და შემოქმედებით პროექტებს გრანტებით, €5 000-დან €25 000-მდე ფარგლებში.
- 2010 წლიდან მოყოლებული Klokgebouw-მა, სტრაიპ-S-ის მთავარმა შენობამ, 100 შემოქმედებით კომპანიას მისცა ბინა.
- Apparatenfabriek-ი, ფილიპსის ძველი მოწყობილობების ფაბრიკა, შემოქმედებით და კულტურულ ინდუსტრიებს 20 000 კვ. ფუტ ფართობს სთავაზობს. ამას გარდა, ფილიპსის სხვა შენობები გადაკეთდა სხვენებად, დასასვენებელ ადგილებად (სკვიტ-პარკი, ფესტივალების ჩასატარებელი სივრცეები), რესტორნებად და საცალო მაღაზიებად (Anton & Gerard შენობები, Ketelhuis, Machinekamer).
- 2013 წელს სახელგანთქმული შენობა Natlab-ი (ფილიპსის ყოფილი კვლევითი ლაბორატორიის შენობა) ხელახლა გაიხსნა, როგორც კულტურის ცენტრი – კინო-, თეატრალური და ორი მედიალაბორატორიისთვის.
- სტრაიპ-S-ში კულტურის მიმართულებით ჩადებული ინვესტიცია მართლაც დიდია და სულ €36.5 მილიონს შეადგენს. სტრაიპ-S-ში ინვესტიციების უდიდესი წილი კერძო ინვესტორებისგან შემოვიდა; 1% ევროკავშირმა დააფინანსა (BLISS პროექტი, INTERREG IVB ჩრდილო-დასავლეთი ევროპა).



შედეგი:

- სტრაიპ-S-ი გახდა ეინდჰოვენის მაღალტექნოლოგიური შემოქმედებითი და კულტურული ცენტრი, რომელიც იზიდავს ახალ აქტივობებს, განსაკუთრებით -- შემოქმედებით ინდუსტრიებს.
- მიტოვებული სივრცე და ხელისშემშლელი, გამოუყენებელი გარემო იქცა ქალაქის გულად, რომელმაც მთლიანად შეიცვალა მისი ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები. ოდესღაც ინდუსტრიულ არედ აღქმულმა ეინდჰოვენმა შეძლო, გამხდარიყო ნამდვილი ქალაქი, სახლი თავისი ბინადრებისთვის და მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ჰაბი. უძრაობა და ეკონომიკური დაქვეითება ცხოვრების მაღალ ხარისხად გარდაიქმნა.
- ეინდჰოვენი დასახელდა 2011 წლის „გონიერ თემად“ (Intelligent Community) და 2013 წლის მსოფლიოში ყველაზე გამომგონებელ ქალაქად.
- ცოტა ხნის წინ მუნიციპალიტეტმა შეიძინა კიდევ ერთი შემაკავშირებელი არე და შენობა, საქვაზე სახლი სტრაიპ-T-სთან (სტრაიპ-S-ის გვერდით), შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის (აგრეთვე, ბიომასაზე მომუშავე დიდმასშტაბიანი ცენტრალური ქვებისთვის) დამატებითი სივრცეების განსავითარებლად.



შედეგები და გავლენები

- **პასუხისმგებლიანი განვითარება მდგრადი ურბანული განვითარების მთავარი პირობაა.** ის აწინასწარებს ისტორიული და დაცული ღირსშესანიშნაობების მოფრთხილების აუცილებლობას, მოქალაქეების და ქალაქის თანამედროვე საჭიროებებს, პოტენციური ვიზიტორების ინტერესებს და ხელმისაწვდომ რესურსებს.
- **ურბანული აღდგენის ცენტრალურ კომპონენტად კულტურის დასახვის ზოგი დადებითი მხარე გახლავთ:** კულტურის უფრო ფართო და უფრო ინკლუზიური გაგება; ურბანულ დაგეგმარებაში ცხოვრების სტილის ფაქტორებისა და მომხმარებლური აქტივობების უფრო მეტად გათვალისწინება; და ახალი კულტურული ინფრასტრუქტურების განვითარება, რამაც განაახლა ქალაქების იერსახე და იქცა ტურიზმისა და ინვესტიციების მოზიდვის ფაქტორად.
- **კულტურული აქტივობები და ინსტიტუციები ხელს უწყობს უკეთეს ურბანულ მმართველობას,** ადამიანებზე ორიენტირებული ახალი ქალაქის შექმნას, რომელშიც შესაძლებელი იქნება კეთილდღეობის ხელშესახები და ნაკლებად ხელშესახები ასპექტების გაერთიანება, და ამ პროცესში წინა საუკუნის ქალაქის უვარგისი, არამდგრადი ფორმების თავიდან მოშორება.
- **კულტურის საშუალებით ქალაქის მიტოვებული არეების გაცოცხლება** გავლენას ახდენს მოქალაქეების კეთილდღეობაზე, კულტურა უფრო ხელმისაწვდომი ხდება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის და ამ გზით იზრდება სოციალური შეჭიდულობა. მას აგრეთვე შეუძლია, დაეხმაროს ქალაქს, იქცეს მრავალცენტრიან მთლიანობად, უკეთ შეესაბამებოდეს მის მცხოვრებთა და ტურისტების საჭიროებებსა და ინტერესებს.
- **კრეატიული ეკონომიკის და კლასტერების ზოგი პრობლემა** შეიძლება იყოს საშიშროება, რომ ხელოვნება და კულტურა გართობად და სერვისებად იქცეს, ასევე – პოტენციური შეუსაბამობა ეკონომიკურ და სოციალურ დღის წესრიგებს შორის, ჯენტრიფიკაცია და ურბანული ერთფეროვნება.

რეკომენდაციები

- ინფრასტრუქტურის აღდგენა და სივრცეების და რაიონების ვალორიზაცია კომპლექსური პროცესია და მასში განზრახვით უნდა იყოს გათვალისწინებული ქალაქის და მის მცხოვრებთა როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური საჭიროებები. მონოფუნქციური (მაგ. ტურისტული), იზოლირებული (მაგ. ე.წ. „ელიტური“) ურბანული სივრცეების შექმნა თავიდან უნდა ავირიდოთ. როგორც საცხოვრებელი, ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურები კარგად უნდა იყოს დაგეგმილი და განლაგებული.
- ინფრასტრუქტურული განვითარების ან ხელახალი განვითარების გეგმებს აქვს სამი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომლებიც პარალელურად უნდა შემუშავდეს. ესენია: კულტურული ინფრასტრუქტურა (მუზეუმები, თეატრები, არტცენტრები, სხვა), ურბანული განახლება (პარკები, სკვერები, განათება, საჯარო სივრცეების განვითარება) და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (აეროპორტები, რკინიგზა, გზები, სხვა).
- საჯარო სივრცე ქალაქის იდენტობისა და ლანდშაფტის უმთავრესი ფაქტორია. ეს არის სივრცე სოციალური ურთიერთობებისთვის და ის ყველა მის მცხოვრებს ეკუთვნის – ქალაქებში ინფრასტრუქტურული ცვლილებების დაგეგმვისას ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს. ქალაქის საჯარო სივრცე და ინფრასტრუქტურა უნდა ეხმარებოდეს მის განსხვავებულ მცხოვრებლებს, ამ სივრცეებში მიმდინარე კულტურული პროცესებისა და თვითგამოხატვის მონაწილეები იყვნენ.
- კულტურული მემკვიდრეობა შესაძლებელია შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების და კულტურული კლასტერები განვითარების ძირეული ელემენტი გახდეს. კულტურული მემკვიდრეობის გაცოცხლება და ვალორიზაცია შეიძლება დაეხმაროს პრობლემური და მოშორებული არეალების (ყოფილი ინდუსტრიული უბნები, ტრადიციული ტურისტული ბილიკებიდან დაშორებული რაიონები, ა.შ.) აღორძინების საქმეს. შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების აგება კულტურული მემკვიდრეობის ირგვლივ ხელს უწყობს მათ მდგრადობას ემოციური და ფინანსური ურთიერთვალდებულებების, ვიზიტორთა დაინტერესების და მათი თანამედროვე კულტურულ სფეროდ ქცევის თვალსაზრისით.
- ურბანული განახლება შეიძლება ხდებოდეს დიდი ფლაგმანი პროექტებით (მაგ., საორიენტურო ობიექტის აშენებით, როგორცაა მუზეუმი, თეატრი ან კულტურული ცენტრი). ეს გახლავთ გრძელვადიანი ინვესტირება ქალაქის იერსახესა და ტურისტულ მიმზიდველობაში. მაგრამ ფლაგმანი პროექტები უნდა განხორციელდეს სიფრთხილით, რადგან მათ აქვთ ტენდენცია, შექმნან მონოფუნქციური, ქალაქის მცხოვრებთათვის უცხო სივრცე, და გადატვირთონ ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. მხარი უნდა დაეჭიროს ისეთ განვითარების გეგმებს, რომლებიც ითვალისწინებს ქალაქის, როგორც მთლიანობის, ჰარმონიულ განახლებას.
- გამჭვირვალობა, მუდმივი კონსულტაციები, თანამშრომლობა და ღია კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი ურბანული განახლების პროცესისთვის. ადგილობრივ თემებთან მჭიდრო თანამშრომლობა, საჯარო განხილვები, ღია არქიტექტორული კონკურსები კარგი პრაქტიკის ზოგი მაგალითი გახლავთ.

- მატერიალური კულტურული ინფრასტრუქტურის (შენობები) განვითარება საჭიროა არამატერიალური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის – ესენია კულტურული ინსტიტუციები და პროექტები, მცირე და საშუალო შემოქმედებითი სანარმოები და პლატფორმები.

დამატებითი ინფორმაცია

Agenda 21 for Culture. Why must culture be at the heart of sustainable urban development? by Nancy Duxbury, Jyoti Hosagrahar, Jordi Pascual, 2016

http://www.agenda21culture.net/images/a21c/articles/documentos/Culture_SD_cities_web.pdf

UNESCO Creative Economy Report, 2013

<http://www.unesco.org/culture/pdf/creative-economy-report-2013.pdf>

Creativity, Culture & the City: A question of interconnection, by Charles Landry, 2010

https://www.forum-avignon.org/sites/default/files/editeur/ECCE_report.pdf

Culture for Cities and Regions

<http://www.cultureforcitiesandregions.eu>

European Cluster Observatory. Creative industries: Analysis of industry-specific framework conditions relevant for the development of world-class clusters, 2013

http://www.emergingindustries.eu/Upload/CMS/Docs/Creative_industries_FCs.pdf

European Capitals of Culture. 30 years, 2015

https://ec.europa.eu/programmes/creative-europe/actions/capitals-culture_en

Culture and/or Development? Managing of Urban and Regional Infrastructure Projects in the European Capital of Culture Programm, by Maja Lamza – Maronić, Jerko Glavaš, Igor Mavrin

<http://www.efos.unios.hr/repec/osi/journal/PDF/InterdisciplinaryManagementResearchIX/IMR9a73>

The Impact of Culture on the Economic Development of Cities, by Jan van der Borg and Antonio Paolo Russo, European Institute for Comparative Urban Research (EURICUR) ,Erasmus University Rotterdam, 2005

<https://www.wien.gv.at/meu/fdb/pdf/intern-vergleichsstudie-ci-959-ma27.pdf>

From a Passing Roadway to a Much-Visited Historic Urban Center

<http://landarchs.com/historic-urban-center/>

Strijp-S

<http://www.strijp-s.com/Introduction>